სანოტარო აქტი

ორიათას თორმეტი წლის ოც ივნისს მე, ნოტარიუსს ეკატერინე მარშანიას, ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისიმართზე: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-3 სართულზე, **ამირანი კიკნაძემ** (შემდგომში „მიმნდობი“), რომელმაც განაცხადა, რომ **სს „საქაგრომანქანა”-ს** გენერალური დირექტორი და წარმოადგინა **სს „საქაგრომანქანა”-ს** ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, გაცემული 22.12.2011 13:56:07, განაცხადის რეგისტრაციის №B11184427, სკ 204882966 და **სს „საქაგრომანქანა”-ს** წესდება, რომლითაც დასტურდება, რომ **ამირანი კიკნაძე ნამდვილად არის სს „საქაგრომანქანა”-ს** გენერალური დირექტორი და განაცხადა, რომ სურს **კობა კობალაძისთვის** (დაბადებული 10.08.1975წ. თბილისში, პ/მ№11IC29140, პ/№01009003790, გაცემული 30.03.2012წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კორ. 7, ბინა 36) უფლებამოსილების მინიჭება, შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა **ამირანი კიკნაძემ** (დაბადებული 04.08.1940წ. ხაშურში, პ/მ№გ0571633, პირ. №01019027430, გაცემული 17.09.2004წ. გლდანი-ნაძალადევის შსს-ს მიერ, რეგისტრ: ქ. თბილისი, რიონგესის ქ. 15). მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მისი უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა ეკატერინე მარშანიამ, შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე, განვუმარტე **ამირანი კიკნაძეს** მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თორმეტი წლის ოც ივნისს **სს „საქაგრომანქანა”-ს** გენერალურმა დირექტორმა **ამირანი კიკნაძემ**, წინამდებარე მინდობილობით მოქ. **კობა კობალაძეს**, შემდგომში „მინდობილი პირი“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. **კობა კობალაძე** უფლებამოსილია იყოს **სს „საქაგრომანქანა”-ს** გენერალური დირექტორის **ამირანი კიკნაძის** წარმომადგენელი ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, მერიის ზედამხედველობის სამსახურში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. მინდობილი პირი უფლებამოსილია მართოს, მათ შორის მოახდინოს საზოგადოების სახელზე არსებულ უძრავ ქონებაზე, კერძოდ მდებარე მისამართზე: **ქალაქი თბილისი, ქუჩა ჯიქია, № 9ა/ ქალაქი თბილისი, ქუჩა ჯიქია №9 საზუსტებული ფართობი 1624.00 კვ.მ ს/კ № 01.14.05.005.054-ზე სატრანსფორმატოროს დაპროექტება,** შეასრულოს ამ დავალებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო მოქმედება. **კობა კობალაძე** უფლებამოსილია ჩააბაროს და გამოითხოვოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტები, მათ შორის, ცნობები. ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

2. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

6. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში, თან ერთვის დანართი ორი დოკუმენტი: (იხ. სანოტარო აქტი, დადასტურებული 05.11.2010წ. ნოტარიუსი ე. მარშანიას მიერ, რეესტრის №101117612).

1. **სს „საქაგრომანქანა”-ს** სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
2. **სს „საქაგრომანქანა”-ს** წესდება. (ასლი).

გადახდილია საზღაური: “სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული №507-ე დადგენილების 31.7-ე მუხლის თანახმად 10.00 ლარი, + დღგ 1.80 ლარი + 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 13.80 ლარი.

„მიმნდობი პირი“ ---------- **ამირანი კიკნაძე**

სს „საქაგრომანქანა”-ს გენერალური დირექტორი

ნოტარიუსი *ეკატერინე მარშანია*

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

91071427118912

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120642093

რეგისტრაციის თარიღი

20.06.2012 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე მარშანია
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 45 მე-3 სართული
ტელეფონი: 0 (32) 214 00 77 ; 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18